

თინა აბულაშვილი

მეხუთე არქეოლოგიური ყრილობა თბილისში

1881 წელს თბილისში ჩატარდა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების მეხუთე საერთაშორისო არქეოლოგიური ყრილობა. რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში არქეოლოგიურ ყრილობებს 1869 წლიდან მოყოლებული 2-3 წელიწადში ერთხელ ინვეგდენენ, სადაც ამა თუ იმ რეგიონის ისტორიის, არქეოლოგიისა და მისი მომიჯნავე მეცნიერებების აქტუალური საკითხები იხილებოდა. თბილისში არქეოლოგიური ყრილობის მოწვევა საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისა და ისტორიისადმი დიდმა ინტერესმა განაპირობა. ეს ინტერესი XIX საუკუნის 50-70-ან წლებში უფრო და უფრო იზრდებოდა როგორც რუსეთის ისე უცხოეთის სამეცნიერო წრეებში. თავდაპირველად ყრილობის მოწვევა 1880 წელს იყო დაგეგმილი, მაგრამ რუსეთ-თურქეთის ომმა ხელი შეუშალა ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებას და ერთი წლით, 1881 წლის 20 აგვისტოსათვის იქნა გადადებული. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის მოსამზადებლად ჩამოყალიბდა ყრილობის მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტი რომლის თავმჯდომარემ ა. უვაროვმა კომიტეტს მოახსენა, რომ კავკასიის მეფისნაცვლის სურვილით ყრილობა 1881 წლის აგვისტოს ნაცვლად სექტემბრის თვეში ჩატარდებოდა [Протокол 1882: 420]. საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობას აქტიურად უწყობდა ხელს „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“, რომლის ინიციატივით 1878 წელს თბილისში აირჩიეს ყრილობის მომწყობი ადგილობრივი მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტი რომელსაც დ. ბაქრაძე ხელმძღვანელობდა. კომიტეტს ევალებოდა შეეკრიბა მასალები კავკასიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის, ენების შესახებ. ამ სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდნენ კომიტეტის წევრები: დ. ბაქრაძე, დ. ჯორჯაძე, ა. ცაგარელი, რ. ერისთავი, ა. კომაროვი, ა. ბარჟე, ე. ვეიდენბაუმი, გ. რადე, და სხვები [გამყრელიძე 2008: 15].

იმ პერიოდში ქართული ისტორიოგრაფია განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე იყო, მისი მძლავრი აღმავლობა უკვე XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოდან დაიწყო, რაც დაკავშირებული იყო როგორც ქართველი ისე უცხოელი მეცნიერების: თ. ბაგრატიონის, პ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის მ. ბროსეს, ჟ. შარდენის, ი. გოლდენშტედტის, დებუა დე მონპერეს და სხვათა მოღვაწეობასთან. ფართოვდებოდა საკვლევო ობიექტების გეო-

გრაფია, ისტორია ინერებოდა ახლო აღმოსავლეთის ისტორიული ფონის გათვალისწინებით, რის შედეგადაც საქართველოს ისტორიისადმი ინტერესი უფრო მეტად გაიზარდა, დაიწყო ქართველოლოგიის მეცნიერული შესწავლა და პროპაგანდა. ამ ინტერესს უფრო მეტად შეუწყო ხელი საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე გამოაქვეყნებულმა ნაშრომებმა. თეიმურაზ ბაგრატიონი იყო იმ პირველთაგანი, რომელმაც საქართველოს ისტორია ახლო აღმოსავლეთის ისტორიასთან კავშირში წარმოადგინა. მან აჩვენა, რომ ახლო აღმოსავლეთის ისტორიის მეცნიერული შესწავლა საქართველოს და საერთოდ კავკასიის ხალხების ისტორიის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მასვე ეკუთვნის ცნობა XVIII საუკუნეში შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ, რომელსაც იგი „კერპთმსახურების ჟამს“ აკუთვნებდა. XIX საუკუნის 50-ანი წლების დასაწყისში აკად. მარი ბროსემ გამოსცა საქართველოს ისტორიის წაყროების მთელი სერია ქართულ და ფრანგულ ენებზე. საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას და ახალი ხანის დასაწყისს წარმოადგენდა „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანის აკადემიური გამოცემა პეტერბურგში. ეს აკადემიური გამოცემები რუსს და დასავლეთევროპელ მეცნიერთათვის ხელმისაწვდომს ხდიდა საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა პერიოდის ამსახველ საისტორიო წყაროს. ჟ. შარდენის და ი. გიულდენშტედტის ნაშრომების საფუძველზე ევროპელ მეცნიერებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ საქართველოს და კავკასიის სხვადასხვა რეგიონების მატერიალური კულტურის ძეგლებს (მცხეთა-სამთავრო, ყობანი და სხვ) [Лордкипанидзе 1989: 33]. XIX საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა პირველი პუბლიკაციები, გამოქვეყნებულ იქნა ცალკეული არქეოლოგიური ძეგლების კვლევის პირველი შედეგები. ყოველივე ამის საფუძველზე XIX საუკუნის 80-ანი წლები სათვის რუსი და დასავლეთევროპელი მეცნიერების ინტერესი საქართველოსა და კავკასიის ხალხების ისტორიის და კულტურის მიმართ საკმაოდ გაიზარდა, რამაც განაპირობა და ხელი შეუწყო თბილისში მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის ჩატარებას, რომლის უპირველესი მიზანიც სწორედ კავკასიის ხალხების ისტორიის და კულტურის კვლევა იყო.

1881 წლის 8 სექტემბერს 12 საათზე, თბილისში, მეფისნაცვლის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა მეხუთე არქეოლოგიური ყრილობა, რომელსაც დაახლოებით 1000 დელეგატი ესწრებოდა. დელეგატებს სპეციალური საშვები და სამკერდე ნიშნები ჰქონდათ დარიგებული. ყრილობის მონაწილეთა შორის ქართველი და

რუსი მეცნიერების და მკვლევარების გარდა მონაწილეობდნენ იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილი უცხოელი მეცნიერებიც: სტოკ-ჰოლმიდან ოს. მონტელიუსი, ბერლინიდან რ. ვირხოვი, ათენიდან ჰ. შლიმანი, პარიზიდან ა. რამბო და გ. მორტილიე, ლიონიდან ე. შანტრი, რომიდან ე. როსი. ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ა. უვაროვი, და მ. კომაროვი, ხოლო კომისიის წევრებად ა. ცაგარელი, დ. ბაქრაძე და გ. ერისთავი [დროება 1881: 2-3]. ყრილობის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველი მეცნიერები: დ. ჩუბინაშვილი, დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, დ. ფურცელაძე და სხვები. ასევე ესწრებოდნენ მონინავე ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები: გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დავით ერისთავი, აქესენტი ცაგარელი, და სხვები. გაზეთი „დროება“ იუნყებოდა „მუდამ ახალი სტუმრები მოგვდის არხელოგების სხდომაზე დასასწრებად ... რომელიც ამ თვის 8-ს, ე.ი. ღვთისმშობლის დღეს გაიხსნება ... 8 ნიკენისთვესვე გაიხსნება ახლადგადაკეთებული კავკასიის მუზეუმი. კრების გამგე კომიტეტის წევრებად სამი ქართველია ამორჩეული: პეტერბურლის უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი ა. ცაგარელი, ბატონი დ.ზ. ბაქრაძე და თავადი რაფ. ერისთავი“ [დროება 1881ა:1-2]

ყრილობა საზეიმოდ გახსნა მ. ლორის-მელიქოვმა. დამსწრეთ სიტყვით მიმართა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა დ. ილოვაისკიმ: „ჩრდილოეთში მცხოვრები ბევრი ჩვენგანი ვესწრაფვოდით მოგვენახულებინა ეს სასწაული მხარე, და აი აქ ვართ, გვედრებით და გთხოვთ დიადო კავკასია, გაგვიღე კარი და გადაგვიშალე საუკუნეების და ათასწლეულების მანძილზე შენს წიაღში, მთებსა და ხეობებში, დაგროვილი უძველესი ისტორიული სიმდიდრე [დროება 1881გ: 3]. ყრილობის პროგრამა 8 განყოფილებისგან შედგებოდა: პირველყოფილი საზოგადოების ძეგლები, წარმართული და კლასიკური ხანის ძეგლები, ქრისტიანული ხანის ძეგლები, მუსულმანური სიძველეები, ხელოვნების და მხატვრობის ძეგლები, დამწერლობის ძეგლები, ლინგვისტიკა, ისტორიული გეოგრაფია [გამყრელიძე 2008: 15]. ყრილობის თავმჯდომარემ დამსწრეთ სხვა საკითხებთან ერთად მოკლედ მოახსენა ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის მიერ ჩატარებული საქმიანობის შესახებ. წაკითხული იქნა 81 მოხსენება საქართველოში ჩატარებული კვლევების შესახებ. მოხსენებები წაკითხეს: დ. ბაქრაძემ, დ. ფურცელაძემ, გ. წერეთელმა, ნ. წილოსანმა, ა. ერიცოვმა. დელეგატებს მოხსენდათ დიღმის სამაროვანზე, გელათის მონასტერში, სტეფანწმინდაში და მდ. რიონის გაყოლებაზე მდებარე არქეოლოგიურ ძეგლებზე

ჩატარებული დაზვერვებისა და არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ. წამოიჭრა საკითხი კავკასიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური აღმოჩენების რუკის შედგენის თაობაზე. დამსწრეთა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა გიორგი წერეთელის მოხსენებამ რიონის ხეობის ყორღანების შესახებ, სადაც საგანგებოდ იყო ხაზგასმული საჩინოში (ვანი) ახვლედიანების გორაზე 1865-1870 წლებში ნაპოვნი არქეოლოგიური მასალის — ოქროს სხვადასხვა ნივთების და საერთოდ სამარხების აღმოჩენის ფაქტები [Черетели 1881: 333; ხომტარია 1972: 82]. ექ. თაყაიშვილი ამ მოხსენების თაობაზე აღნიშნავდა „გიორგი წერეთლის რეფერატი V საარხეოლოგიო კრებაზე თბილისში ყველა სხვა ქართულ რეფერატს სჯობდა“ [თაყაიშვილი 1991: 462]. გიორგი წერეთელმა ყრილობის მონაწილეებს ასევე გააცნო გელათის მონასტერში დაცული ისტორიული მასალები და გელათის მონასტრის ეზოში მის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგები [წერეთელი 1894: 12]

თბილისში ჩატარებულმა მეხუთე არქეოლოგიურმა ყრილობამ დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს სამეცნიერო და საზოგადოებრივ წრეებში. ქართული საზოგადოება კარგად აცნობიერებდა საქართველოში მეცნიერთა პირველი ყრილობის ჩატარების მნიშვნელობას. მათ მიაჩნდათ, რომ ეს მოვლენა საქართველოს და მთლიანად კავკასიის კულტურის გეგმაზომიერი მეცნიერული შესწავლის საფუძველი გახდებოდა. ქართული პრესა ფართოდ აშუქებდა მეხუთე არქეოლოგიურ ყრილობასთან დაკავშირებულ მასალებს. მარტო გაზეთმა „დროებამ“ 30-მდე ნომერში დაუთმო ადგილი ამ სამეცნიერო ფორუმს, ამასთან, ყრილობასთან დაკავშირებული ცნობები გაზეთის 1-2 გვერდზე ქვეყნდებოდა. „დღეს ჩვენ სიამოვნებით ვესალმებით ცნობილ რუსს და უცხოელ მეცნიერებს, რომლებმაც დაგვდეს პატივი და პირველი არქეოლოგიური ყრილობის ჩატარების ადგილად თბილისი აირჩიეს. ჩვენ გულწრფელად და გულმხურვალედ ვესალმებით უცხოელ სტუმრებს“ [დროება 1881ბ: 1-2]. ფართოდ გამოეხმაურა ყრილობას სხვა ქართული ჟურნალ-გაზეთებიც, მათ შორის „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კავკაზი“, „შრომა“ და სხვა. ყველა ეს გაზეთი არა მხოლოდ აშუქებდა ყრილობის მუშაობის მსვლელობას და ყრილობასთან დაკავშირებულ კულტურულ-საზოგადოებრივ ღონისძიებებს, არამედ დიდ შეფასებასაც აძლევდა ყრილობას როგორც ისტორიულ მოვლენას, რომელიც ახალი ეტაპი უნდა გამხდარიყო საქართველოში მეცნიერებისა და განათლების განვითარებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის მიმართ

ინტერესი გამოიჩინეს ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენებმაც. როგორც იმდროინდელ გაზეთებში ისე ყრილობის ოქმებში არაერთხელ იქნა ხაზგასმული, რომ არც ერთ ყრილობას რომელიც მანამდე იყო ჩატარებული არ ჰყავდა ისეთი ფართო აუდიტორია, არ გამოირჩეოდა დამსწრეთა ისეთი აქტიურობით როგორც თბილისში ჩატარებული ყრილობა. მიუხედავად ბილეთის მაღალი ფასისა (3 მან. 60 კაპ), თბილისის საზოგადოების მიერ 800 ბილეთზე მეტი იქნა შეძენილი, მაშინ როცა, როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, გასულ წლებში ყაზანსა და კიევში ჩატარებული ყრილობების დამსწრეთა რიცხვი 200 არ აღემატებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იქ უნივერსიტეტები არსებობდა და შესაბამისად მეტი საზოგადოების წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა. გაზეთი „დროება“ წერდა: „ეს ვითარება, ეს ინტერესი არქეოლოგიური მეცნიერებისადმი ჩვენს ქვეყანაში ადვილი ასახსნელია, ძველ საბერძნეთსა და რომს გარდა, არც ერთი ქვეყანა დედამიწის ზურგზე – არ წარმოადგენს ისეთ მდიდარს ნიადაგს არქეოლოგიისათვის, როგორც ჩვენი კავკასია და ამასთანავე არც ერთი ქვეყანა არ არის ისე ნაკლებად გამორკვეული, არქეოლოგიის მხრივ, როგორც ჩვენი“ [დროება 1881: 1]. ყრილობის დანყებადმდე განაახლეს კავკასიის მუზეუმის ექსპოზიციები, რის შედეგადაც კავკასიის მუზეუმმა მონაწილეთათვის მოაწყო გამოფენა. ექსპონატები 17 დარბაზში იყო გამოფენილი. ცალკე დარბაზი ჰქონდა დათმობილი არქეოლოგიას სადაც ექსპონატები გეოგრაფიული პრინციპით იყო განლაგებული [ბოლქვაძე 1974: 157]. არქეოლოგიური არტეფაქტები გამოფენილი იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან (ვანი, ახტალა, ვორნაკი და სხვა) [ჩხაიძე 2003: 107]. თბილისში ჩატარებულმა ყრილობამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზოგადოებაში. ილია ჭავჭავაძე ყრილობის თბილისში მოწყობას არაორდინარულ მოვლენად მიიჩნევდა და წერდა: „ჩვენს დედა-ქალაქში არქეოლოგიური კრებაა გამართული ... ეს პირველი მაგალითია ჩვენს ისტორიაში, რომ ჩვენი დედა-ქალაქი ტფილისი ღირსი გახდა მეცნიერთა კრებისა“. გრიგოლ ორბელიანი კი აღნიშნავდა: „მეცნიერების ყურადღება მიმართულია ჩვენი ქვეყნისადმი იმ მიზნით, რომ არქეოლოგიურად, ისტორიულად და ეთნოგრაფიულად გამოიკვლიონ და შეისწავლონ იგი და შემდეგ წარმოაჩინონ წარსულ საუკუნეებში მცხოვრები ჩვენი წინაპრების წეს-ჩვეულებები, რელიგია, განვითარების დონე, ცხოვრების წესი“. ქართული და ამიერკავკასიის მონინავე საზოგადოება ყრილობის მონაწილეთათვის სხვადასხვა შეხვედრებს და მიღებებს აწყობდა, ორგანიზაციის უწევდა ექსკურსიებს საქართველოს ისტორიულ ადგილებში. აღსანიშნავია

ყრილობის მონაწილეთა დახვედრა ქუთაისში. როგორც გაზეთი „შრომა“ აღწერს როდესაც ქუთაისის მოსახლეობამ შეიტყო არქეოლოგების ან, როგორც გაზეთი უწოდებს „არქეოლოგოსების“ ყრილობის მონაწილეთა ქუთაისში ჩამოსვლის შესახებ, ხალხი ჩირაღდნებით ხელში გამოეფინა ქალაქში და გაემართა სადგურისაკენ. ნაწილი სტუმრებისა ქუთათურებმა სასტუმროში დააბინავეს, ნაწილი კი მოქალაქეებმა მიიწვიეს სახლებში. ეს სტუმართმოყვარეობის ჩვეულებრივი გამოხატულება კი არ იყო, არამედ ეს იყო იმ იმედებით აღფრთოვანების გამომჟღავნება, რომელსაც ქართული საზოგადოების ფართო წრეები ამყარებდნენ მეხუთე არქეოლოგიური ყრილობისადმი.

1881 წლის 22 სექტემბერს მეხუთე არქეოლოგიური ყრილობა დაიხურა. თბილისში ჩატარებულ ყრილობას საქართველოს და კავკასიის პროგრესული წრეები უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიიჩნევდნენ და ოფიციალურ მიღებებზე, სხდომებზე და გაზეთის ფურცლებზე საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდნენ. ეს ყრილობა დიდი ბიძგი იყო საქართველოში არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ენათმეცნიერების განვითარების საქმეში. მოხსენებებში აისახა იმ დროისათვის არქეოლოგიურ მეცნიერებაში მიმდინარე პროცესები და არსებული პრობლემები. დაისვა საკითხი უნებართვო გათხრების წარმოებაზე, არქეოლოგიური ნივთების დატაცებაზე, საზღვარგარეთ გატანაზე და დაკარგვაზე. ყრილობაზე ჩამოყალიბდა კავკასიის არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ნუმიზმატიკის და ლინგვისტიკის შემსწავლელი კომისია. ამ ყრილობის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს 1901 წელს თბილისში „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ დაარსება. თუმცა არსებობდა კრიტიკული აზრიც ყრილობის სახელწოდების „არქეოლოგიური“ შესახებ. ექ. თაყაიშვილი წერდა „რატომღაც არც ბაიერნი გამოჩენილა, არც მისი მცხეთის ნამუშევარი და საერთოდ არც ჩვენში წარმოებული თხრის შედეგები საერთოდ როგორც უკვე ვთქვი გათხრითი არქეოლოგია ძალიან მცირედ იყო წარმოდგენილი თბილისის ყრილობაზე“ [თაყაიშვილი 1969: 368]. მართალია ყრილობის სახელწოდება არქეოლოგიური უფრო პირობითი იყო და არქეოლოგიაც შედარებით შეზღუდულად იყო წარმოდგენილი, მაგრამ წამოწეული საკითხებისა და თემების მნიშვნელობა მეტად დიდი იყო. ყრილობის კომიტეტის განკარგულებით გამოიცა ნაშრომი “Археологический путеводитель по Тифлису”. ამ ყრილობის მიზანი და შედეგი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არქეოლოგიით ფართო წრეების დაინტერესება და ამ მეცნიერების განვითარება იყო, რაც ნამდვილად მოხერხდა.

ლიტერატურა

- გამყრელიძე გ., 2008, ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ, თბილისი
- ბოლქვაძე ს., 1974, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXX- B, გვ. 154-183
- გაზ. დროება, 1881, №4
- გაზ. დროება 1881a, IX,5, №185
- გაზ. დროება, 1881b, №188
- გაზ. დროება, 1881გ, №199
- თაყაიშვილი ე., 1969, რჩეული ნაშრომები, თბილისი
- თაყაიშვილი ე., 1991, გიორგი წერეთელი, დაბრუნება, ემიგრანტული ნაშრომები, თბილისი, გვ. 460-462
- ჩხაიძე გ., 2003, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი.
- წერეთელი გ., 1894, როგორ აშენდა გელათი, გაზ. კვალი № 12
- ხოშტარია ნ., 1972, ვანის არქეოლოგიის შესწავლის ისტორია, ვანი I, თბილისი, გვ. 81-93
- Лордкипанидзе О., 1989, Наследие древней Грузии, Тбилиси
- Протоколы подготовительного комитета, изданные под. ред. секретаря Комитета И.Д, Мансветова, 1882, Москва, с. 105-621.
- Церетели Г., 1881, Заметки Подготовительного комитета к археологическому съезду . М. с. 333-337

Tina Abuashvili

The Fifth Archaeological Congress in Tbilisi

Summary

The fifth archeological conference which was held in Tbilisi on September 8, 1881 at 12 o'clock and was solemnly opened in the Palace of Viceroy plaid a great role in the course of archeological study of Georgia and the whole Caucasus. The main goal of the congress was to study the history and culture of the Caucasian peoples. Among the participants of the congress, along with the Georgian and Russian scientists and researchers were well known foreign scholars and scientists for that time. The congress aroused a great interest in Georgian scientific and public circles. The Georgian society was well aware of the importance of holding the first scientists congress. They believed that this event would become the basis for a regular scientific study of Georgia and the entire Caucasian culture.



არქეოლოგთა მეხუთე ყრილობის მონაწილენი